

მუნიციპალიტეტის საინფორმაციო ბაზეთი №3(89) 2015 წ. 1-15 თებერვალი ფასი 50 თეთრი

დასუფთავების დღე კახეთში

და ჩვენთან

საგარეჯოს მუნიციპალიტეტში დასუფთავების მასშტაბური აქცია „კახეთი - სუფთა რეგიონი“ 4 თებერვალს დილიდან დაიწყო და მასში მუნიციპალიტეტში არსებული თითქმის ყველა საჯარო დაწესებულებისა და კერძო კომპანიების თანამშრომლებმა მიიღეს მონაწილეობა. დასუფთავდა ქ. საგარეჯოსა და სოფლების ქუჩები, სკვერები, ორგანიზაციების მიმდებარე ტერიტორიები, კახეთის ცენტრალური მაგისტრალი.

ლია კოხტაშვილი,

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ადამიანური რესურსების მართვისა და ადმინისტრაციულ ერთეულებთან ურთიერთობის კოორდინაციის განყოფილების მთავარი სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებელი



8 თებერვალი წმინდა მიწა დავით აღმაშენებლის ხსენების დღეა!

დავით აღმაშენებელი ჩვენი ქვეყნის ცნობილი ისტორიის ყველაზე დიდი მიწაა. ბანურომელია მისი ღვაწლი საქართველოს გაერთიანების და აღმშენებლობის საქმეში. დავითმა შექმნა თუჩ-სამეფოების შემოსევათი გახრანებული, ხალხისგან დაცლილი ქვეყნის დასახლება, დამოუკიდებლობის მოპოვება და მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ სახელმწიფოებად გადაქცევა. იმდენად ბრძნული იყო მისი ყველა გადაწყვეტილება, ისე ზუსტი იყო მისი გეგმები, რომ ალაშქრებულ მთელს მსოფლიოს დასაშინებლად და ამის შემდეგ იგი დიდხანს ჯანმრთელად ცხოვრობდა, თავის შვილს მხარში ედგა ქვეყნის მართვაში. მსგავსი მოვლენა მსოფლიო ისტორიაშიც ძნელად მოსაძიებელია, არა თუ საქართველოში, სადაც ძალაუფლებისათვის ბრძოლის არაერთი სამარცხვინო ფაქტია



ცნობილი.

დავით აღმაშენებლის გამეფება საქართველოსთვის მართლაც დღის წიგნობა იყო. აი, როგორ აფასებს ამას გრიგოლ ორბელიანი პოემაში „სადღეგრძელო“:

„ზეცა წყალობად, ნუგეშად

ივერსა გაობრებულსა
მეფედ მოუვლენს დავითსა,
ზეგარდმო სიერშით ცხებულსა,
მხედართ-მთავარსა უძლეველს,
გულ-მოწყალესა მსაჯულსა,
ზე-შთაგონებით განსწავლულს,
ენა მდინარე მეტყველსა“

დავითს მეგვიდრეობად ერგო თურქ-სელჩუკებისაგან დარბეული ქვეყანა, დაცარიელებული ქალაქები და სოფლები, მთებში გახიზნული დამშეული მოსახლეობა. გამეფებისთანავე დაიწყო ემა-მოლაშქრეთა და მსახურეულ აზნაურთაგან მხედართა რაზმების შექმნა. ერთგული რაზმებით მეფე თავს ესხმოდა თურქ-სელჩუკებს, ავიწროვებდა მათ, სდევნიდა და მთაში გახიზნულ მოსახლეობას ბარად ჩამოსვლის პირობებს უქმნიდა.

არანაკლებ პრობლემებს უქმნიდნენ დავითს ურჩი ფეოდალები. მათ აღზევებას ხელს უწყობდნენ თურქ-სელჩუკებიც და ბიზანტიელებიც, რადგან ერთიანი და ძლიერი საქართველო არც ერთს არ აწობდა (როგორ ჰგავს მათი ასეთი ქმედება დღევანდელი რუსეთისას). მაგრამ უფლის წყალობით რამდენიმე წელიწადში დავითმა ეს პრობლემა საბოლოოდ მოაგვარა. 1093 წელს მან გამდგარი ლიპარი IV ბაღვაში შეიპყრო. თუმცა მონაწილების შემდეგ გაათავისუფლა და ძველი ღირსებებიც დაუტოვა, მაგრამ ხელახალი დალატის გამო, 1094

წელს კვლავ შეიპყრო და ორი წლის პატიმრობის შემდეგ საქართველოდან გააძევა. 1103 წელს ლიპარიტის ძის რატის გარდაცვალების შემდეგ დავით IV-მ გააუქმა კლდეკარის საერისთავო და ბაღვაშია მამულები სამეფო დომენად გახადა, შემდგომში ნაწილი (არგვეთი) გელათის მონასტერს გადასცა. ამავე წელს დაამარცხა სამეფო კარის მოწინააღმდეგე ფეოდალები ძაგან და მოღისტოს აბულეთისძეები.

1103 წელს მეფის თაოსნობით მოიწვიეს რუს-ურბნისის საეკლესიო კრება, რომელმაც სამეფო ხელისუფლების განმტკიცების ღონისძიებები გაატარა (უღირსი თანამდებობის პირების გადაყენება და მათ ნაცვლად მეფის ერთგულთა არჩევა, სასულიერო თანამდებობის პირთა ხელდასმის წესის დამტკიცება, გვირგვინის კურთხევის წესის დაკანონება და სხვ.). ეს ღონისძიებანი ჩამოყალიბებულია კრების მიერ მიღებულ დოკუმენტში „ძეგლისწერა რუს-ურბნისის კრებისა“. სახელმწიფოს ძლიერების განმტკიცების საქმეში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ჭყონდიდელისა და მწიგნობართუხუცესის თანამდებობების გაერთიანებას, მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის თანამდებობის შექმნას. ამ თანამდებობის პირი ერთსა და იმავე დროს მაღალი სამოქალაქო და საეკლესიო მმართველი იყო.

დასასრული მე-7 გვერდზე

მუნიციპალური კვირალი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომები



30 იანვარს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგ სხდომას ამავე საკრებულოს თავმჯდომარე ზორბერტ ბურდუღი უძღვე...

მდივნის დეკანოზ მიქაელ ბოტკოველის 2014 წლის 6 ოქტომბრის №998 მომართვა, სადაც აღნიშნულია, რომ საქართველოს საპარტიო რქის საკრებულომ...

საკრებულოს დეპუტატებმა მოისმინეს საკრებულოს სოციალური, კულტურის, სპორტის, განათლებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარის მემფილ ჯინიძის ინფორმაცია...

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 12 თებერვლის რიგგარეშე სხდომას ამავე საკრებულოს თავმჯდომარე ზორბერტ ბურდუღი უძღვე...

დღის წესრიგის I საკითხზე „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის გიორგი კაკუტაშვილის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ“ მოხსენება გააკეთა საკრებულოს იურიდიული საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ალ. მუხომეძე...

დღის წესრიგის II საკითხზე „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური დახმარების 2015 წლის პროგრამისა და მისი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მოხსენება გააკეთა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო, ჯანდაცვისა და სოციალური საკითხთა განყოფილების უფროსმა სოფიო შაბარაშვილმა...

მნიშვნელოვან შედეგს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური ფონის უკეთესობისკენ, შემცირდება უკიდურესად გაჭირვებული მოსახლეობის ფენა, გაიზარდება დემოგრაფიული მონაცემები და გაუმჯობესდება მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობა...

სხდომაზე ასევე განიხილეს საკითხები „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის სახანძრო დაცვისა და სამაშველო სამსახურის დეპუტატების შესახებ“ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 26 ნოემბრის №24 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე და „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის სახანძრო დაცვისა და სამაშველო სამსახურში პირადი შემადგენლობის შემცირების შესახებ“ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის №15 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე...

სხდომაზე წარმოდგენილი დღის წესრიგის შემდეგ საკითხზე აიპ „სოციალურ დაწესებულებათა გაერთიანების“ საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 25 ოქტომბრის №92 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ მოხსენება გააკეთა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა მთავარი სპეციალისტის მთავარების შემოსულებელმა განათლების საკითხებში არჩილ ჯაბაბაძემ...

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის თათბირები



მიმდინარე წლის 3 და 10 თებერვალს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ტრადიციულ სამშაბათის თათბირებზე საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის წარმომადგენლებს მიერ წარმოდგენილი ზეპირი ინფორმაციების შემდეგ მუნიციპალიტეტის გამგეობამ ბიორბი ბიორბიზიმა, მისმა მოადგილეებმა ბიორბი რეზაიზიმა და დავით იმანიშვილი, გამგეობის სამსახურების უფროსებმა იმჯელები ძირითადი პრობლემების ირგვლივ და ერთობლივად დასახეს გამოსწორების გზები.

დასუფთავების დღე კახეთში და ჩვენთან



მეწარმეთა დასახმარებლად

საბანონებლო სიასლების მიმოხილვა



ს შ ი რ ა ღ
შემოდის ზეპირი შეკითხვები მეწარმეებისაგან მიკრობიზნესისა და მცირე ბიზნესის სტატუსს შორის არსებულ განსხვავებებზე...

ილვას აკეთებს შპს აუდიტორული ფირმა „გარანტის“ დირექტორი ნათელა ჰიაბერაშვილი - ვის შეიძლება მიენიჭოს მიკრობიზნესის სტატუსი?

- მიკრო ბიზნესის სტატუსი შეიძლება მიენიჭოს ფიზიკურ პირს თუ:
1. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მოყვანა, რომელიც ხორციელდება ტრანქტორებით ან კომბაინებით;
2. ხალიჩებისა და ორთოვისებრი ნაწარმის წარმოება;

- 15. სასულე მუსიკალური ინსტრუმენტების წარმოება;
16. ცოცხებისა და ჯავრისების წარმოება;
17. საყოფაცხოვრებო საქონლისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი/შეკეთება;
18. საყოფაცხოვრებო საქონლისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი/შეკეთება, თუ ის ხორციელდება ამ საგნების წარმოების, საბითუმო და საცალო ვაჭრობისაგან დამოუკიდებლად...

სოფლის მეურნეობა

მნიშვნელოვანი ფერმა დასახმარებლად

მნიშვნელოვანი ფერმა 2015 წლის საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტი მიმდინარე წელსაც გაგრძელდა, ამ პერიოდისთვის ჩვენი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 8032 სასოფლო-სამეურნეო ბარათი (ხენის) უნდა დარიფდეს. კონკრეტულად:

- ბაღიაური - 248
ბოგდანოვკა - 155
გიორგიწმინდა - 394
გომბორი - 394
დიდი ჩაილური - 192
დუხაგრაბა - 142
ვერხეიანი - 109
თოხლიაური - 232
თულარი - 247
კახლარი - 115
იორმულანდო - 297
კაკაბეთი - 693
სოჭბანი - 249
სთაფლე - 20
ლაშბალო - 96
მანავი - 535
ნინოწმინდა - 307
წყაროსთავი - 168
პატარა ჩაილური - 171
პატარაძეული - 1042
უდაბნო - 1
უჯარმა - 205
საგარეჯო - 1366
ყანდაურა - 240
შიბლიანი - 105
ხაში - 309



კოოპერატივი საქართველოში

არცთუ დიდი ხნის წინ საქართველოში კოოპერატივის მნიშვნელობა ან უგულებელყოფილი იყო, ან არასწორად იყო გაგებული. კოოპერატივს ხშირად ძველ, საბჭოთა კოლმეურნეობებთან აიგივებდნენ. დღეს მდგომარეობა სრულიად შეცვლილია და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი ბევრად უფრო უკეთაა აღქმული. ეს საქართველოში სოფლის მეურნეობის ექსპერტების და საგარეჯოს მუნიციპალიტეტში საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის ძალისხმევით შედეგია. ძველი მიდგომის შეცვლაში წვლილი შეიტანეს, ასევე სამოქალაქო საზოგადოებისგან შემდგარმა ორგანიზაციებმაც, რომელთაგანაც ბევრი ევროკავშირის ფინანსური დახმარებით სარგებლობს.

- ა) უძრავი ქონება;
ბ) ავტოსატრანსპორტო საშუალება;
გ) ფასიანი ქაღალდები.
6. მემკვიდრეობით მიღებული ქონების სახით მიღებული შემოსავალი;
7. დივიდენდის სახით მიღებული შემოსავალი;
8. პროცენტის სახით მიღებული შემოსავალი;
9. როიალტის სახით მიღებული შემოსავალი;
10. ვალის პატივით მიღებული შემოსავალი.
- როგორ ხდება მიკრობიზნესის სტატუსის მიღება?
მიკრო ბიზნესის სტატუსის მისაღებად ფიზიკურმა პირმა განცხადებით უნდა მიმართოს საგადასახადო ორგანოს გადასახადის გადაამხდელად რეგისტრაციის ადგილის მიხედვით. იმ შემთხვევაში თუ პირი არ არის რეგისტრირებული გადასახადის გადაამხდელად, მან უნდა გაიაროს საგადასახადო რეგისტრაცია (საცხოვრებელი ადგილის ან საქმიანობის ადგილის მიხედვით) და შემდეგ წარადგინოს განცხადება მიკრო ბიზნესის სტატუსის მისაღებად.
- აქვს თუ არა საკონტროლო-საღარიბო აპარატის გამოყენების ვალდებულება მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე პირს?
- მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკურ პირს არ აქვს საღარიბო აპარატის გამოყენების ვალდებულება.
- აქვთ თუ არა მიკრობიზნესის სტატუსის მქონე პირს საშემოსავლო გადასახადის დეკლარაციის წარდგინების ვალდებულება?
- მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირი ვალდებულია წარადგინოს გამარტივებული საშემოსავლო გადასახადის წლიური დეკლარაცია საგადასახადო ორგანოში საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე.
- აქვთ თუ არა მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე პირს საგადასახადო დოკუმენტის (მათ შორის სასაქონლო უფონდების) გამოწერის ვალდებულება?
- მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე პირს არ აქვს ვალდებულება გამოწეროს საგადასახადო დოკუმენტები, თუმცა გამოწერის შემთხვევაში ვალდებულია შეინახოს ისინი და დოკუმენტში დააფიქსიროს თავისი სტატუსი.
- აქვს თუ არა უფლება გადაამხდელს ხარჯად გამოქვითოს მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე პირისაგან შეძენილი საქონლის ან მომსახურების ღირებულება?
- გადასახადის გადაამხდელს არ აქვს უფლება გამოქვითოს მიკრობიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირისგან შეძენილი საქონელზე ან მომსახურებაზე გაწეული ხარჯი.
- ვის შეიძლება მიენიჭოს მცირე ბიზნესის სტატუსი?
- პირს, რომლის წლიური ბრუნვა არ აღემატება 100 000 ლარს

სოფლის მეურნეობა

ჯამური ბრუნვა დაახლოებით 260 მილიარდ ევროს შეადგენს. ევროპის ყველაზე დიდი კოოპერატივის ფინანსური ბრუნვა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბიუჯეტს 34-ჯერ აღემატება. ჯანსაღი და მოკრძალები პირობებში საზოგადოების სხვადასხვა ფენას საშუალება აქვს დაიცვას საკუთარი ინტერესები მონაწილეობის პრინციპზე დაყრდნობით და სწორედ ესაა კოოპერატივის ერთ-ერთი ძირითადი უწყვეტი - კოოპერატივი მხოლოდ მაშინაა წარმატებული, თუ მისი მართვა პროფესიონალურად მოხდება და მკაცრად იქნება ორიენტირებული ბიზნესზე. კოოპერატივი უნდა ეფუძნებოდეს ნებაყოფლობას, საქმის ერთგულებას, ლიდერობასა და ჯანსაღი და ეფექტური ფინანსური მართვის პრინციპებს. აუცილებელია გაუმჯობესდეს ფერმერთა განათლება, მათთვის საკონსულტაციო მომსახურების მიწოდება, მიწის რეგისტრაციის სისტემის გაუმჯობესება, სარწავი ქსელების განვითარება, დაფინანსების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და სხვა მნიშვნელოვანი მიმართულებები.
ფერმერებს შეუძლიათ აქტიურად თანამშრომლობა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურთან დილის 9 საათიდან 18-მდე ყოველ სამუშაო დღეს ისინი უსასყიდლოდ მიიღებენ დახმარებას აქ მომუშავე მაღალკვალიფიციური თანამშრომლებისგან მათთვის სოფლის მეურნეობაში არსებულ საინტერესო საკითხებთან დაკავშირებით.
აკაკი ლესანოვი, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის მთავარი სპეციალისტი.

ექიმის საუბარი

არსებობა უიპერტენიზია

მიმდინარე ზამთრის თვეებში ტემპერატურის მერყეობამ ჰიპერტენიზიაში მყოფ მძიმე სისხლძარღვო-პათოლოგია და არტერიული წნევის მომატებას იწვევს...



არტერიული ჰიპერტენიზია ერთ-ერთ უფროსად ფართოდ გავრცელებული გულ-სისხლძარღვო-პათოლოგიაა...

- არარაციონალური კვება (დიდი რაოდენობით ცხიმოვანი და მარილიანი საკვების, ნაკლები რაოდენობით ხილისა და ბოსტნეულის მიღება);
• დისლიპიდემია;
• მჯღომარე ცხოვრების წესი, დაბალი ფიზიკური აქტივობა;
• ალკოჰოლის ჭარბი მოხმარება;
• თამბაქოს მოხმარება;
• სტრესული სიტუაციის გადაღობვის უუნარობა;
• შრომისა და დასვენების არასწორი მონაცვლეობა.
როდესაც არტერიული ჰიპერტენიზია ვითარდება რაიმე სპეციფიკური მიზეზის შედეგად (ლაპარაკია დანარჩენ შემთხვევებზე)...

არტერიული ჰიპერტენიზია ერთ-ერთ უფროსად ფართოდ გავრცელებული გულ-სისხლძარღვო-პათოლოგიაა და არტერიული წნევის მომატებას იწვევს. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის შეფასებით, მთელი მსოფლიოს მასშტაბით არტერიული ჰიპერტენიზია დაახლოებით 1 მილიარდ ადამიანს აღენიშნება...

ვადება; ეს სეროზული გართულებები ხშირად იწვევს სიკვდილს ან ადამიანს მთელი სიცოცხლის განმავლობაში ინვალიდად აქცევს. ამიტომაც თუ ხშირად ან მუდმივად გაქვთ მაღალი წნევა, ან წნევამ უეცრად მოიმატა ძალიან მაღალ ციფრებამდე...

ჯანმრთელობა

ცხადი ხდება, რომ ცხოვრების წესის მოდიფიცირება ხელს შეუწყობს წნევის ნორმალიზაციას, ანუ წონის ნორმალიზაციას...

რამდენიმე რჩევა მათ, მისაც აქვს არტერიული ჰიპერტენიზია

- ასაკის მიუხედავად, რეგულარულად აკონტროლეთ არტერიული წნევა.
• დაიცავით რაციონალური კვების პრინციპები, რაც გულისხმობს წვნი ორგანიზმის მოთხოვნის დაკმაყოფილებას საკვებ ნივთიერებებზე, ვიტამინებზე, მინერალებზე ნივთიერებებზე და ენერჯიაზე. იგი ხელს უწყობს ჯანმრთელობის შენარჩუნებას. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ სუფრის მარილის მოხმარებას. უნდა შეიზღუდოს მარილის დღიური მოხმარება 5 გრამამდე (არასავსე ჩაის კოვზი), ხოლო გაიზარდოს კალიუმით მდიდარი პროდუქტების მიღება 5-6 გრამამდე.
• ეცადეთ, განთავსდეთ ძველი ჩვეულებებისაგან. კარგადაა ცნობილი ორგანიზმზე თამბაქოსა და ჭარბი რაოდენობით ალკოჰოლის ზეგავლენის შესახებ. ნიკოტინი იწვევს სისხლძარღვების შევიწროებას, ხელს უწყობს არტერიული წნევის მომატებას, ზრდის დატვირთვას გულზე. ალკოჰოლის ზეგავლენით იკარგება კონტროლი თვითგამცირებაზე, რის გამოც მომატებული წნევა უფრო სახიფათო ხდება.
• გაზარდეთ ფიზიკური აქტივობა. ფიზიკური დატვირთვის ღონის ექიმი შეგიჩვენებთ სპეციალურ ვარჯიშებს უმჯობესად დაიწყოთ სპეციალისტის მეთვალყურეობის ქვეშ და მხოლოდ მისი რეკომენდაციების გათვალისწინებით გადახვიდეთ შემდეგ დამოუკიდებელ დატვირთვაზე. ყველაზე რაციონალურია, თუ თქვენ გაზრდილი ყოველდღიურ ფიზიკურ დატვირთვას ცხოვრების ჩვეულებები რიტმის შენარჩუნების პირობებში. დატვირთვა თანდათანობით უნდა გაზარდოთ - მით უფრო ნელა, რაც უფრო ნაკლებად ხართ ტრენინგული. თუ ამის საშუალებაა, უმჯობესია ივარჯიშოთ ტყეში ან პარკში, სადაც ჰაერი უფრო სუფთაა.
• ეცადეთ, დაიკლოთ წონაში, თუ გაქვთ ჭარბი წონა. წონის ნორმალიზებამდე ზრუნვა დაიწყოთ იმით, რომ გადახედოთ თქვენს ჩვეულებებს და საკვების შემადგენლობას, დაიკლოთ რამდენიმე კილოგრამი, შემდეგ იზრუნეთ სტაბილური წონის მიღწევასა და შენარჩუნებაზე. გახსოვდეთ, რომ ჭარბი წონა, თუკი არ არის რაიმე დაავადებით გამოწვეული, უზმირესად ჭარბი კვების ბრალია. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ხშირი წახემსების მავნე ზეგავლენის შესახებ.
• ეცადეთ, სრულფასოვნად დაისვენოთ. ამისათვის აუცილებელია არანაკლებ 7-8 სთ ძილი დღედაღამეში. უნდა დაარეგულიროთ ძილისა და სიფხიზლის დღე-ღამური ფიზიოლოგიური რიტმი (დღე - სიფხიზლე, ღამე - ძილი).
• ეცადეთ, წინ აღუდგეთ სტრესულ სიტუაციებს, შეამცირეთ ფსიქოემოციური დაძაბულობა. ამაში დაგეხმარებათ ფსიქიკური რეგულაციის მეთოდები, აუტორეინინგი (სუნთქვითი ვარჯიში, კუნთების მოღუნება, სხეულის მდებარეობის შეცვლა, ყურადღების კონცენტრაცია და ზოგჯერ უბრალოდ დასვენება). თუ შეუძლებელია კონფლიქტური სიტუაციის თავიდან აცილება, ეცადეთ, სწორად მიუდგეთ მას და მოახდინოთ მისი ნეიტრალიზება. გააკეთეთ პაუზა, შეცვალეთ საუბრის თემა. ეცადეთ, თავიდან აიცილოთ გადაღლა, განსაკუთრებით ქრონიკული, შეუთავსებელი მანერის ფიზიკური და გონებრივი საშუალო. ხალხური მედიცინა გვიჩვენებს რა აწესრიგებს წნევას?
2 ჩაის კოვზი ბროწყლის მშრალ კურკას დაავსახეთ 1 ჩაის ჭიქა მღუღარე წყალი და გააჩერეთ 20 წუთი. გადავწურეთ და მივიღოთ ყოველდღიურად დღეში 3-ჯერ.
0.5 კგ ხახვი გამოწვეულყოფილ, დავამატოთ 250.0 არაყი, ავურიოთ, დავდგათ 10 დღე და 10 დღის შემდეგ სადილის კოვზით ჭამის წინ მივიღოთ 3-ჯერ დღეში.
ნიახურს სუფთა შეამციროს არტერიული წნევა და ქოლესტერინის ღონე ორგანიზმში.

ხელოვნება

თოჯინების თეატრს აქვს ხელი შეუწყო სპექტაკლების მუსიკალურად

ის ჩვენი თანამოქალაქეა 57 წელი ქართული სიმღერის, პუსიკოს სამსახურში



თეატრის სტარტი. დაარსებიდან გასული საუკუნის 90-იან წლებში...



თეატრის სტარტი. დაარსებიდან გასული საუკუნის 90-იან წლებში...

თეატრის სტარტი. დაარსებიდან გასული საუკუნის 90-იან წლებში...

იტებს, წერენ სცენარებს, აფორმებენ სპექტაკლებს მუსიკალურად.

1995-2011 წლებში დადგმული და აღდგენილი სპექტაკლები: ვაჟა-ფშაველას „ტყის კომედია“...

საგარეო თოჯინების თეატრს მიღებული აქვს მონაწილეობა მიყვარულთა თოჯინების თეატრების ფესტივალებში...



ამჟამად დასის შემადგენლობაში არიან: მარინა შიოშვილი, მიშა ხოკრაშვილი, ბადრი დრეიძე...

რაც შეეხება გასული წლის ჩვენს საქმიანობას, ერთი წლის განმავლობაში 29 სპექტაკლი ჩაატარეთ...



შენიშვნებს გამოთქვამენ, „სასტიკად“ გამოხატა ბოროტებას პირდაპირ „ომს უცხადებენ“ და სიკეთის ქმნას სთავაზობენ ყველას.

ხოფხულში ვიყავით ხელგაჩაურის რაიონის სოფელ თხილნარში ხატარბეულ თოჯინების სახალხო თეატრების ფესტივალზე...

სიმატლე თეატრს, ჩვენი კოლექტივის ბოლო 20 წლიანმა ერთობლივმა შრომამ კეთილი ნაყოფი გამოიღო...



სამისოდ ვქმნით თოჯინებს. ასევე ვმუშაობთ სპექტაკლის დადგმაზე „წითელქუდა“, „სამი გოგონა“...


თეატრის მიღმა, პატარა საიდეოზე გარინდულან თოჯინები, ის თოჯინები, რომლებიც აგერ ხუთ თვეზე წლებზე მეტია უხარებენ პაწიებს...




შექმნილი თბილისის თოჯინების თეატრის მსახიობები იყვნენ. მათთან ერთად არიან „ასაკიანი“ მკითხველი ქალი, თორწვერა მოხუცი, რომელიც ხან თოვლის პაპის როლს ასრულებდა...

თეატრის დარბაზისა და თეატრის მოწოდება გვიამბობენ თოჯინები: - ეს ყველაფერი - მოძრაობა ფარდა, თეატრი, მაყურებელთა დარბაზი...

თეატრის დარბაზისა და თეატრის მოწოდება გვიამბობენ თოჯინები: - ეს ყველაფერი - მოძრაობა ფარდა, თეატრი, მაყურებელთა დარბაზი...



ბასშლი საუკუნის 60-იან წლებში ქართული რადიოს დილის გადაცემას უდიდეს ინტერესთა უსმენდა მთელი საქართველო...



1954 წელს საგარეო რეპრეზენტაციის დამთავრების შემდეგ და-ძმამ სწავლა თბილისის კულტურის განყოფილებაში დაიწყო...

არასოდეს დაზარდება არც კოლეგას და არც მოსწავლეს, სულით და გულთა ასწავლის იმას...

70-80-იან წლებში სოლისტი იყო თვითმოქმედი ანსამბლი „გარეჯის“. მოიარა სხვადასხვა ქვეყნის ქვეყნები...

1959 წელს კი და-ძმა საქართველოში დასახლებულ თანამოქალაქეებს ქართული ხალხური სიმღერები...

ეს პიროვნება ჩვენი თანამოქალაქეა, დღეს უჩინარად რომ სურს იაროს ჩვენი ქალაქის ქუჩებში...

დაახ. ეს ბატონი გოგი საქარაშვილია - 57 წელი მუსიკისა და ხალხის სამსახურში - უპრეტენზიო, ნუმბი, ქართველობაზე შეყვარებული...

დაახ. ეს ბატონი გოგი საქარაშვილია - 57 წელი მუსიკისა და ხალხის სამსახურში - უპრეტენზიო, ნუმბი, ქართველობაზე შეყვარებული...

სახელოვნებო სკოლა

„სილაშხის სხპანაირი

დანახება უნდა“

მილოცვა



დაბადების დღეს ვულოცავთ **საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებელს ბიორგი ბიორგიშვილს**, ვუსურვებთ ჯანმრთელობას, სიკეთეს, სიხარულსა და წარმატებებს პირად ცხოვრებასა და საზოგადოებრივ საქმიანობაში.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულო და გამგეობა

საგარეჯოს სახელოვნებო სკოლას (მენეჯერი ალ. ასლანიშვილი) თებერვლის დასაწყისში 1 წელი შეუსრულდა. აქ ჩვენი მუნიციპალიტეტის მოზარდებს ხატვის ხელოვნებას მამა-შვილი ალექსანდრე და მარიამ ასლანიშვილები ასწავლიან. ალექსანდრეს თითქმის ყველა საგარეჯოელი იცნობს – მისი ოჯახი გასული საუკუნის 70-იანი წლებში ფერეიდანიდან საგარეჯოში ჩამოსახლდა სხვა ნათესავებთან ერთად. ალექსანდრემ აქ დაამთავრა სკოლა, შემდეგ კი სწავლა საქართველოს სამხატვრო აკადემიაში განაგრძო. მისი ნამუშევრებს გამოფენაზე არაერთხელ დაუმსახურებია დამთავლებულია მოწონება. რაც შეეხება მარიამს, იგი ერთხანს საქართველოს სამხატვრო აკადემიაში ფერწერის განხრით სწავლობდა, ორი კურსის დახურვის შემდეგ, კვლავ ჩააბარა მისალბი გამოცდები და ამჟამად აკადემიის მედიახელოვნების ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტია. ხატვა მარიამმა ნატურმორტების ხატვით დაიწყო, შემდეგ კომპოზიციებსაც შეუჭიდა. ბოლო პერიოდში კი დაინტერესდა ფორტოხელოვნებით, კარგად შეისწავლა ფორტოგრაფია, ფორტოები დიდი ინტერესით ფერწერაში გადმოჰქონდა...

მეცადინეობაზე სკოლის მოსწავლეებს წინა დღეს შემომატებული გიორგიშვილის საჯარო სკოლის პირველკლასელი მერაბი და მესამეკლასელი გიორგი ქერეიშვილი გავიცანი. ძმებს თურმე ძალიან უყვართ ხატვა, სახლში ყოველ-

დღე ხატავენ. წინა დღეს კი ბებომ მოიყვანა ორივე სკოლაში – უკეთესად გაცნობიან ხატვის ხელოვნებას და ბიჭებიც დიდი მონდობით ხატავენ, იმდენად მონდობით, რომ მერაბიმ იატაკზედაც გადაინაცვლა თავისი სადეკორაციო გიორგის პროფესიად ექიმობა აურჩევია, მაგრამ ექიმმა რომ ხატვაც ცოდვდა და საინტერესო ნახატები ჰქონდეს, უფრო კარგი არ იქნება-ო? მისხნის ვიორგი.

ნათუკა ყურაშვილი და მაცა ტეტიაშვილი საგარეჯოს II საჯარო სკოლის მოსწავლეები არიან. სიხარულით მოდიან ყოველ მეცადინეობაზე და თავიანთ ნამუშევრებს გამოფენისათვის ამზადებენ. ნინი მარტიაშვილი და თამარ ირემასვილი საგარეჯოს პირველი საჯარო სკოლის მეოთხეკლასელები არიან. ძალიან მოსწონთ ადამიანების ხატვა.

რაც შეეხება ელენე ივანელაშვილს და ნათია კობტაშვილს – საგარეჯოს მეორე საჯარო სკოლის მეათეკლასელები არიან. ორივეს დიდი ინტერესი აქვთ პორტრეტების ხატვის ხელოვნების დაუფლების. დღეს მეორედ არიან მეცადინეობაზე და უკვე გრძობენ, თუ პედაგოგი არ გეცხვ, თუ ისე არ დაგანახავ შენთვის საინტერესო საკითხი, თუ არ გაგიადვილა შენი მიზნისკენ მიმავალი გზა, ძალიან ძველი იქნება საბოლოო შედეგის მიღება. ელენემაც ხომ გვითხრა, აქამდე სილამაზე სულ სხვა რამ მგონა, ახლა კი მეორე მეცადინეობაზე ვარ მოსული და უკვე დაგინახავრა არის სილამაზეო.




ელზა გველესიანი ერთი წელია ამ სკოლაში იმდენად კარგად დაეუფლა ხატვის ხელოვნებას, რომ თავად პედაგოგიც კარგად აფასებს – ტექნიკურად და იდეურადაც კარგად ხატავსო. სკოლაში მოსულ პატარებს პედაგოგები სრულ თავისუფლებას აძლევენ, მაინცდამაინც არ ტვირთავენ იმ თემებით, რომლებიც მათ არ აინტერესებთ. აკითხებენ მოთხრობებს, შემდეგ კი მოთხრობის ილუსტრირებაზე მუშაობას ასწავლიან. ან შესაძლებელია აჩვენონ ილუსტრაციები და ზეპირად მოთხრობის შედეგს სთხოვონ. ამასთან, ბავშვებს ძალიან მოსწონთ ფუნჯით თუ ფანქრით მათთვის ბუნებრივ განწყობის, უარყოფითის – შიშის, სიზმრების გადმოცემა.

აქაური მოსწავლეები მეცადინეობის პარალელურად საგაზაფხულო გამოფენისათვის ამზადებენ დარბაზს, დამთავლებულთა თაიანთ ნამუშევრებს დახვედრებენ და ინტერესით დაელოდებიან მათ შეფასებებს.



ბელა შაქარაშვილი




1993 წლის 14 სექტემბერს სოფელ ტამიშთან საქართველოს ტერიტორიული მოღალატის დაცვაში შეეწირა ჩვენი თანაკლასელი, ჩვენი გელა. ჩვენი კლასიდან პირველმა ჩაიცვა ჯარისკაცის ფორმა და სულ 6 თვე იმსახურა...

მას შემდეგ წლები გავიდა და ვერ ვივიწყებთ მის სახელს. 19 თებერვლი 40 წელი შეუსრულდება სამშობლოსათვის თავგანწირულს. სწორედ ამიტომ ვერ დაგივიწყებთ ვერასდროს, ჩვენი გელა.

საგარეჯოს II საშუალო სკოლის 1991-92 სასწავლო წლის კურსდამთავრებულები

სომარდ ჯიღაური



ჩვენს საყვარელო სიძვე, რვაჯერ მოვიდა შენი დაბადების დღე. ჩვენთან ერთად რომ ყოფილიყავ, 17 თებერვლს შეგოსრულდება 76 წელი. შენი მეუღლე, შვილები, შვილიშვილები და ახლობლები მწუხარებით და გულისტკივლით შეხვდებიან ამ დღეს. გულით მართალი და პატიოსანი იყავი, მაგრამ უღმირებლმა ავადმყოფობამ არ დაგინდო, ნაადრევად წაგიყვანა ამ ქვეყნიდან, მარადისობაში გადაგიყვანა.

დიდი მისა ჯიღაურის შთამომავალი იყავი. შენც გიყვარდა სიმღერა და დროის ტარება. არავის ახსოვს შენს სულში შენი ავ-კაცობა, პირიქით, ბევრი სიკეთე გიკეთებია, რომელიც სიკეთედვე წაადგება შენს შთამომავლობას. ბედნიერი მამა და სიმამრი იყავი – სამი შვილისა და 6 შვილიშვილის პაპა, რომლებიც ყოველ შენს დაბადების დღეს ტკივლით იხსენებენ. არასოდეს დაივიწყებს შენი ოჯახი შენს ნათელ ხსოვნას და შენს კეთილ სულს. მსუბუქი იყოს შენს გულზე დაყრილი კაკაბეთის მიწა. ღმერთმა დაამკვიდროს შენი ნათელი სული ადგილსა ნათელსა, სადაც მართალნი განისვენებენ, ამინ.

ნოდარ და დავით ქიზიმურაშვილები (ცოლისძმა და ცოლისდა)

დათო ბულაღაშვილი



დათო, ჩვენი ძვირფასო შვილი. ორი გაუსადიხის წელი შესრულდა, რაც 13 თებერვალი უშენოდ მოვიდა, შვილი, შენი დაბადების დღე – უკვე 23 წლის გახდი, დედა მოგიკვდეს, რით მოგილოცო, შვილი. მთვალთ შენს საფლავზე ყვავილებით, სანთლით, ცრემლებით.

სიკეთით სავსე გული გაქონდა, ყველაფერში გამორჩეული ბუნების იყავი, ამიტომაც უფალმა მარადიული სიჭაბუკე გარგუნა, შვილი.

დათო, როცა წყალში იღრნობდი, შენს გაუბედურებულ მშობლებზე თუ იფიქრე, შვილი. ერთი დიდი ტკივილი და დიდი იარა რომ დაგვიტოვე. შენს ოჯახში ღამაში სიხარული შემოვიდა შენი რძლის სახით და პატარა შემატებელი შენი მოსახლე დათუნას სახით.

მაგრამ, შენს წილ დარდს, შვილი, არავინ შეგეცვლის მეც და მამაშენსაც. ჩვენი ღოცვა ფიანდაზად დაფინის შენს სულს, ხოლო ჩვენმა ცრემლებმა სანთელივით გაგინათოს სამოთხისაკენ მიმავალი გზა.

დაე, ნათელში ამყოფოს ღმერთმა შენი ნათელი სული.

შენი მშობლები

ხსოვნა სიკვდილზე კლიერია

ბიორგი ზაქროს მე ბრატიაშვილი




როცა ნათელი სიცოცხლე ნადრეოდ წყდება, მწუხარება, დიდი ტკივილი და მონატრება იწყება. ეს მონატრება შენ დავეტოვე შენი ნადრევი წასვლით, გიორგი. 9 თებერვალი შენი დაბადების დღეა – 31 წელი შეგისრულდებოდა, რომ არა ის აებუდითი დღე – 31 მაისი, რომელიც შენთვისაც და ჩვენთვისაც საბედისწერო აღმოჩნდა. შენი ღამაში სიცოცხლისათვის იქ დამთავრდა ყველაფერი, დაიწვა და ჩაიფერა შენი ღამაში სიცოცხლე, ოცნებები და მომავალი.

უკვე მეთერთმეტედ ვხვდებით შენი დაბადების დღეს. შენ ხომ მხოლოდ ოცი წელი იცოცხლე. სიცოცხლით გაუმადარი წასვლი და ქვეყნიდან. შენი სახელი დაუიწყებია ჩვენში, სანათოსაოში, სამეგობროში. უფალმა სიმშვიდე დაუმიქიდროს შენს ღამაზე სულს მარადიულ სასუფეველში, სიცოცხლეზე თვალდარჩენილო და უდროოდ წასულად შვილი, გიორგი.

მშობლები ნუნუ და ზაქრო, დედ-მამიშვილები ოჯახი

ბობია (თეზურ) ქიზიმურაშვილი



ჩვენს საყვარელო ძმაო, თეზო. შენი გარდაცვალებიდან 10 წელი გახდება 19 თებერვალს. ამ ხნის მანძილზე ცხოვრება ჩვეული დინებით წავიდა. მას შემდეგ ბევრი ტკივილი და სიმწარე განვიცადეთ. დედამ ვერ გაუძლო ამ ტკივილს და მალე დაგვტოვა და ეს ტკივილი კიდევ უფრო გაგვიახლდა შენს დედამაშვილებს და შენი ოჯახის წევრებს, მეუღლეს, შვილებსა და სიძეებს.

მოვიღვართ შენს საფლავზე, ვანთებთ სანთელს, შენი სულისათვის ვლოცულობთ, შენს გულზე დასვენებული პატარა გიორგისათვის, რომელმაც არანაკლები ტკივილი მოგაკაჟა შენს ახლობლებს. ძმაო, მსუბუქი იყოს შენს გულზე დაყრილი კაკაბეთის მიწა. ღმერთმა დაამკვიდროს შენი ნათელი სული ადგილსა ნათელსა, სადაც მართალნი განისვენებენ, ამინ.

შენი დედ-მამის შვილები ნანული, ნოდარ, დავით ქიზიმურაშვილები

„გარეჯის მაცნეს“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“

რედაქტორი: **თინათინ ილაური**

რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო, დ. აღმაშენებლის ქ. № 15,

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნეში“ დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა „კოლორში“.

ტელეფონები: 24-32-07 599 502 842 599 851 143

ელ. ფოსტა: gareji2011@mail.ru

